# სინტია მ. ანდერსონი (Cynthia M. Anderson)

სინტია მ. ანდერსონი (CYNTHIA M. ANDERSON) - პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სერტიფიცირებული ქცევითი ანალიტიკოსი (BCBA-D) 2013 წლიდან აპალაჩის სახელმწიფო უნივერსიტეტის (APPALACHIAN STATE UNIVERSITY) ფსიქოლოგიის პროფესორია.
2005 წლიდან 2013 წლამდე ის მოღვაწეობდა ორეგონის უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე, 2010-2013 წლებში კი ხელმძღვანელობდა ორეგონის უნივერსიტეტის სპეციალური განათლების დეპარტამენტს და კლინიკურ სერვისებს.
სინტია მ. ანდერსონმა დოქტორის ხარისხი მიიღო დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტში, ბავშვის კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით.
პროფესორი ძირითადად დაინტერესებულია პრაქტიკული კვლევებით, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადაჭრა.
მის კვლევით ინტერესებში ბავშვობის ასაკის ქცევითი პრობლემებია. ის არის 50-ზე მეტი სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. სინტია ანდერსონის შრომები ქვეყნდება შემდეგ ჟურნალებში: ”სკოლის ფსიქოლოგია”, ”ქცევის გამოყენებითი ანალიზი”, ”ფოკუსი განსაკუთრებულ ბავშვებზე” და სხვა.